საქართველოს კათოლიკეთა
ყოველთვიური მაცნე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

N2 (326) | 2023

საბა

30 წელი
საპატრიარქოს
ადმინისტრაცია



თებერვალი

2 თებერვალი - მირქმა, ბერ-მონაზვნების დღე

9 თებერვალი - დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022)

11 თებერვალი - ლურდის ღვთისმშობლის ხსენება, სნეულთა დღე

14 თებერვალი - წმ. კირილე და წმ. მეთოდი, ევროპის მფარველნი

17 თებერვალი - მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

22 თებერვალი - ნაცრის ოთხშაბათი, მძიმე მარხვის დღე, დიდმარხვის დასაწყისი

23 თებერვალი - მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)

რედაქტორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-9

იუბილე 10

ჩანართი:

პაპი ბენედიქტე XVI.....I-IV

კათოლიკური კულინარია 11

ქრისტეს თანამედროვე მოწმენი..... 12-13

ეკუმენური გვერდი.... 14-15

სოციალური გვერდი - Caritas Georgia 16

სოციალური გვერდი - Iner Georgia 17

საბავშვო გვერდი:..... 18

ინფორმაცია 19



ნაკლებ დამაბრმავებელი შუქი და მეტი სინათლე!

ჩაქრა საშობაო და საახალწლო განათებები, ასე რომ ბრწყინავდნენ და ალამაზებდნენ ჩვენი ქალაქის ქუჩებს, სახლებს, მაღაზიებს... მოციმციმე ნათურები, მანათობელი დიოდები, ტაიმერები, გინდაც მზის ენერგიაზე მომუშავე ეკოლოგიური ნათურები. მრავალფერი საახალწლო განათება, დიდი თუ პატარა, ფერადი თუ სადა, ათასგვარი ფორმის, წვრილი და მსხვილსიმებიანი სანათები ლამის ამ დღესასწაულების ემბლემად იქცა. ზოგჯერ მართლაც მშვენიერი, ნამდვილად მხატვრული განათება: თანამედროვე ხელოვნება, ჩამოკიდებული ჩვენს თავზე, ცასა და დედამიწას შორის. ხანდახან ექსტრავაგანტული შუქების ნაზავი, ყოველგვარ აზრს მოკლებული: მრუდე თოვლის ბაბუები, მსუქანი ჩრდილოეთის ირმები, უფორმო სტალაქტიტები, ფიფქები, თოვლის კაცუნები, მრავალფეროვან პალმებს შორის შუქით იმიტირებული თოვა, იგლუები (კანადელი ესკიმოსების ზამთრის საცხოვრებელი) მიმაგრებული პინგვინებით, ანგელოზები, საყვირს რომ უკრავენ, ციგები და კომეტები ანუ კუდიანი ვარსკვლავები... მოკლედ ყველაფერი, რაც შემდგომ უწესრიგობას, დაბნეულობას, გაღიზიანებას იწვევს, ხიბლისა და განწყობის დაკარგვის შიშით. იქნებ ამის გამო იყო ნაკლები განათებები ამ დღესასწაულებზე როგორც მსოფლიოს ბევრ ქალაქში, ასევე საქართველოში? ამბობენ, გაჭირვებული ოჯახების დახმარება ამჯობინესო. ასე რომ, საშობაო განწყობა ყოველ ჯერზე ხელახლა უნდა აღმოვაჩინოთ, განათებებისა და ჩრდილების, სიხარულისა და სევდის, ხარჯვისა და ბანალურობის ფონზე... თუმცა, განათება ყოველთვის უნდა იყოს კონკრეტული

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS

სტიგმატელი, ეპისკოპოსის ვიკარი ეკუმენიზმისა და კულტურის დარგში, წინამძღვარი (ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი)



ნიშანი, მეტადრე ამ სასიხარულო, სამშვიდობო და სრულიად განსხვავებულ დღეებში... და არა მხოლოდ ფულის ზედმეტად ხარჯვის ნიშანი.

მთელი ამ თვალისმომჭრელი, ამბივალენტური სინათლის ფონზე, 31 დეკემბერს ჩაქრა ემერიტუსი პაპის, ბენედიქტე XVI-ის შუქი: ეს იყო არა მოციმციმე ნათება, მანათობელი დიოდი თუ მზის ენერგიის შუქი, არამედ შუქი, რომელიც ანათებს სინათლის წყაროს ძალით, „ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უნათებს სოფლად მომსვლელ ყოველ ადამიანს“ (იოან. 1, 9), რისი კვალიც მან დატოვა: თავისი ხანგრძლივი ცხოვრების კვალი, თავისი მოწმეობა, ნაზავი თვინიერებისა და გამბედაობისა, თავისი ავტორიტეტული სიტყვა, თავისი ყოფა, როგორც ,,უბრალო მუშაკისა უფლის ვენახში“.

ახლა ეს განათებები ჩაქრა ახალი შობისა და ახალი წლის მოლოდინში; შუქებთან ერთად შეწყდა ყველა ის სურვილი და საუბარი, რომელიც, ჩვეულებრივ, გაისმის ხოლმე ამ დღეებში: „რატომ 25 დეკემბერი და არა 7 იანვარი? როდის გვექნება ერთი კალენდარი?“... შეიძლება ეს ყველაფერი სერიოზულ საკითხად მოგვეჩვენოს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბავშვურ ოცნებად რჩება; ვინ იცის, მხოლოდ ამ წუთებში რატომ სვამენ ამ კითხვებს, თითქოს მტვრიანი სხვენიდან გადმოღებულთ, შემდეგ კი მალევე ავიწყდებათ? შეიძლება ვინმემ თქვას, რომ, საბედნიეროდ, წელიწადში ერთხელ მაინც საუბრობენ ამაზე; მთავარია, ხელი არ შეუშლონ იმ თანაცხოვრებას, რასაც დღეს ვახერხებთ მარტივი ირენიზმით და ჟურნალისტური ფარისევლობით!

სხვა შუქები, რომელთა ჩაქრობაც დროის უმოკლეს მანძილზე გვსურს, სამწუხაროდ, ჯერ არ ჩამქრალა: შუქები, რომლებიც გამაყრუებელი სროლებით გაჯერებულა ომებით გასისხლიანებული ქვეყნების ამდენ ქალაქში, დამაბრმავებელი შუქები ჩვენი ქალაქების დაწყევლილ უბნებში... ფრანგი პოეტი პეგი, რომლის დაბადებიდან (1873 წლის 7 იანვარი) 150 წლისთავი აღინიშნება წელს, წერდა: „თანამედროვე სამყარო მორალურად ანადგურებს. ანადგურებს ქალაქს, ანადგურებს კაცს, ანადგურებს სიყვარულს, ანადგურებს ქალს, ანადგურებს რასას, ანადგურებს ბავშვს, ანადგურებს ერს, ანადგურებს ოჯახს. მან შეძლო და გაანადგურა ის, რაც ალბათ ყველაზე ძნელი გასანადგურებელია, რამეთუ ძლიერი თვითმყოფადობა, განსაკუთრებული ღირსება გააჩნია, ლამის უუნარობა იმისა, რომ იყოს განადგურებული: ეს ანადგურებს სიკვდილს“.

სხვა შუქები, მდუმარე შუქები, მრავალი ადამიანის, ოჯახის, ქრისტიანული თემის, რომლებიც ისეთივე პერიოდულობით არ ცხოვრობენ, როგორც საშობაო და საახალწლო განათებები, საბედნიეროდ, კვლავაც ბრწყინავენ ამ ,,საშიშ და მიმზიდველ“ თანამედროვე სამყაროში!

„ბენედიქტე, უფლის ერთგულო მეგობარო, სრულყოფილი იყოს შენი სიხარული“

„მორჩილად გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის, რომ მიუხედავად ჩემი ცოდვებისა და მანკიერებებისა, უფალმა მარადიულ სამყოფელში მიმიღოს“, - დაწერა პაპმა ბენედიქტე XVI-მ თავისი სულიერი ანდერძის ბოლოს, 2006 წლის 29 აგვისტოს.

2022 წლის 31 დეკემბერს, 93 წლის ასაკში, გარდაიცვალა ემერიტუსი პაპი ბენედიქტე XVI. სიცოცხლის ბოლო ათი წელი პაპმა ვატიკანში, ეკლესიის დედის მონასტერში, სიმშვიდესა და ლოცვაში გაატარა. 5 იანვარს წმინდა პეტრეს მოედანზე ბენედიქტე XVI-სთან გამოსასალმებლად თავი მოიყარა ათასობით მორწმუნემ. სახარებისეულ მენელსახცებელ დედათა მსგავსად ეკლესია პაპ რაცინგერის ცხედართან შეიკრიბა, მადლიერების ნელსაცხებლითა და იმედის მირონით, რათა კიდევ ერთხელ დაემოწმებინა თავისი გაუნელებელი სიყვარული. ჩვენც გვსურს გამოვხატოთ ის სიბრძნე, სინაზე და ერთგულება, როგორსაც ის გვჩუქნიდა მრავალი წლის განმავლობაში. ბენედიქტე, უფლის ერთგულო მეგობარო, სრულყოფილი იყოს შენი სიხარული, უფლის მარადიულ ხმას შეისმენ“, - თქვა თავის გამოსათხოვარ სიტყვაში უწმიდესმა ფრანცისკემ.

ანდრეა რანდონი: „ლოცვა და ფინჯანი კაკაო“

17 იანვარს 118 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოს ყველაზე ხანდაზმული ადამიანი, მონაზონი ანდრეა (ერობაში ლუსილი) რანდონი. ლუსილ რანდონი 1904 წლის 11 თებერვალს დაიბადა საფრანგეთში, პროტესტანტულ ოჯახში. 19 წლისამ კათოლიკობის მიღება გადაწყვიტა და მონასტერში მორჩილად შედგა. ამის შემდეგ და ანდრეამ მთელი ცხოვრება ობლების, სნეულებისა და დავრდომილების მსახურებას მიუძღვნა. სიცოცხლის ბოლო წლები მონაზონმა ტულონის ხანდაზმულთა თავშესაფარში გაატარა. 2021 წლის იანვარში კოვიდი გადაიტანა და იმ დროს მთელი მსოფლიოსთვის იმედის სიმბოლოდ იქცა. თავშესაფარში ცხოვრებისას და ანდრეა უამრავ წერილს იღებდა მადლიერი ადამიანებისგან და თითქმის ყველას პასუხობდა. ბედნიერი და ქმედითი ცხოვრების საიდუმლო და ანდრეასგან: „ამბობენ, რომ მუშაობა კლავს. სულაც არა. 108 წლამდე ვმუშაობდი. რა მამხნევებდა? ლოცვა და ფინჯანი კაკაო“.

უნარშეზღუდულობა სულაც არ არის დაბრკოლება მსახურებისთვის

14 იანვარს კენიაში, ნიერის არქიეპარქიაში, მთავარეპისკოპოსმა ანტონი მუჰერიამ მღვდლად აკურთხა მაიკლ მიტამო კინგორი. „მამა მაიკლი იმის მაგალითია, რომ უნარშეზღუდულობა სულაც არ არის დაბრკოლება მსახურებისთვის. მამა მაიკლმა დაამოწმა, რომ რაოდენ დიდი არ უნდა იყოს ჩვენი განსაცდელი, მაინც შეგვწევს ძალა, ღვთის მოწოდებას ვუპასუხოთ“, - აღნიშნა მთავარეპის-



კოპოსმა. საქმე ისაა, რომ მაიკლ მიტამო კინგორიმ დიაკვნობისას სრულად დაკარგა მხედველობა, მაგრამ განსაცდელს არ შეეპუა და მსახურება არ შეწყვიტა. „როცა დავბრმავდი, ბევრს ვლოცულობდი და საკუთარ თავში გარკვევას ვცდილობდი. ბოლოს ჩემთვის ცხადი გახდა: მე მხედველობა დავკარგე და არა მოწოდება. მიუხედავად ჩემი განსაცდელისა, მიუხედავად სირთულეებისა, რომელთა დაძლევა მომიწევდა, ღმერთმა მსახურებისთვის მომიწოდა“, - აღნიშნა მამა მაიკლმა.

სვიატოსლავ შევჩუკი: „ომის სულს უნდა ვძლიოთ“

კიევის ქრისტეს აღდგომის კათოლიკური ტაძარი ქალაქის მკვიდრთა თავშესაფრად იქცა. ყოველი საჰაერო თავდასხმის დროს ტაძრის სარდაფს თავს აფარებს ორასზე მეტი კიეველი. „ცხოვრება ძალიან გართულდა. უკრაინიდან მიგრაციის მესამე ტალღა დაიწყო. ელექტრომომარაგების პრობლემა უბრალოდ დისკომფორტს როდი ქმნის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყონვისას ადამიანებს გათბობის და საკვების მომზადების არანაირი საშუალება არ აქვთ. ამიტომ ჩვენი ეკლესია აწყობს სახელდახელო სამზარეულოებს, სადაც ადამიანები ცხელი საჭმლის მიღებას შეძლებენ. მშვიდობა მხოლოდ ამ ომის შეწყვეტა და მტერზე გამარჯვება როდია. იმისთვის, რომ ნამდვილი და მტკიცე მშვიდობა დამყარდეს, თვით ომის სულს უნდა ვძლიოთ“, - აღნიშნა Catholic News Agency-სთან საუბრისას მთავარეპისკოპოსმა სვიატოსლავ შევჩუკმა. დღეს უკრაინის კარიტასი დახმარებას უწევს იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს კიევში, ჩერნიგოვში, ლვოვში, ტერნოპოლში, ჟიტომირში და ქვეყნის სხვა ქალაქებში. დახმარება მოიცავს საკვებ პროდუქტებს, მედიკამენტებს, ჰიგიენის საშუალებებს; გარდა ამისა, უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ განსახლებას, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს; რამდენიმე ქალაქში გახსნილია როგორც დღის, ასევე სადღეღამისო საბავშვო ცენტრები.

აშშ-ს კათოლიკეებმა მარტინ ლუთერ კინგის დღე აღნიშნეს

„დღეს მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღეა და ჩვენ მის ბრძოლას ვიხსენებთ - არაძალადობრივ ბრძოლას რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც მან თავისი ცნობილი სიტყვა „მე მაქვს ოცნება“ წარმოთქვა, სამოცი წელი გავიდა. ვაღიარებთ, რომ პროგრესი არის, რომ ჩვენი საზოგადოება ვითარდება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ წინ არაერთი ბრძოლა გველის, რათა აღარავინ იყოს გარიყული, დევნილი და დაჩაგრული. უპირველეს ყოვლისა, მარტინ ლუთერ კინგი თავისი რწმენით ხელმძღვანელობდა. ჩვენც რწმენით უნდა ვიხელმძღვანელოთ. მონაზონმა თეა ბოუმენმა თქვა: „ადამიანები კითხულობენ: სად არის შემდეგი მარტინ ლუთერ კინგი?“ ვფიქრობ, ყოველი ჩვენგანი მოწოდებულია იმისთვის, რომ საკუთარი თავისა და ერთმანეთის თავისუფლებისთვის იღვაწოს“, - აღნიშნა თავის საგანგებო სიტყვაში მთავარეპისკოპოსმა ტიმოთი ბროლიომ.



შოთა გიჭოშვილი

წმიდა ოჯახის დღესასწაული

გორის კათოლიკურმა სამრევლომ წმიდა ოჯახის დღესასწაული განსაკუთრებულად აღნიშნა. ეს სამრევლო სწორედ ნაზარეთელი წმიდა ოჯახის სახელს ატარებს, ისევე როგორც 1810-1819 წლებში აშენებული გორის კათოლიკური ტაძარი, რომელიც კათოლიკეებს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 90-იან წლებში ჩამოართვა.

გორის ეკლესიის დღესასწაულზე წმიდა წირვა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა სხვადასხვა სამრევლოდან მოსულ მღვდლებთან ერთად. ლიტურგიისას, ტრადიციულად, ჯვრისწერის ფიცი განაახლეს წყვილებმა. წმიდა წირვის შემდეგ ერთ-ერთმა ოჯახმა სტუმრებსა და სამრევლოს სასიმღერო ნომრები წარმოუდგინა.

წმიდა ოჯახის - იესოს, მარიამისა და იოსების დღესასწაული შობის მომდევნო კვირაში აღინიშნება. ეს დღესასწაული XIX საუკუნეში კანადაში დაიბადა, ხოლო მოგვიანებით, 1920 წელს, მისი აღნიშვნა მთელ კათოლიკე ეკლესიაში დაიწყო. თავდაპირველად ეკლესია მას აღნიშნავდა უფლის გაცხადების მომდევნო კვირადღეს და მისი მიზანი იყო, ეჩვენებინა წმიდა ნაზარეთელი ოჯახი, როგორც ჭეშმარიტი მაგალითი ცხოვრებისა (Collect), საიდანაც ჩვენი ოჯახები უნდა იღებდნენ შთაგონებას, დახმარებასა და ნუგეშს. ნაზარეთელი ოჯახის მაგალითით, ჩვენს ოჯახებს შეუძლიათ გახდნენ ღვთის ყოვლისშემძლე ხელით მართული.

დღეს ოჯახისათვის სახარებისეულად ცხოვრება არ არის იოლი, მით უმეტეს, ჩვენს დროში. ჩვენ თავს გვესხმიან ან გვაკრიტიკებენ მხოლოდ იმიტომ, რომ დედის წიაღიდან შობილ სიცოცხლეს ვიცავთ, თუმცა სახარებაში ვპოულობთ გზას მშვენიერი ცხოვრებისაკენ, როგორც პირად, ასევე ოჯახურ დონეზე; გზას, რომელიც, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ მიმზიდველი და ყოვლისმომცველი; გზა, რომელიც იმედს გვისახავს. ყველა ოჯახში არის ბედნიერი დღეები, ხან მოწყენილობა, ხანაც სიმშვიდე და რთული მომენტები, სწორედ ეს არის ცხოვრება. სახარებისეული ცხოვრება არ გვათავისუფლებს სირთულეებისა და დაძაბულობებისაგან, განცდების, გამძლეობისა და სამწუხარო სიმყიფისაგან. ბევრ ოჯახშია წარუმატებლობა და სირთულეები, თუმცა ამ ოჯახებს კვლავ ძალუძთ ფეხზე წამოდგომა, ახლის დაწყების შესაძლებლობების პოვნა, თუ მიჰყვებიან სახარებისეულ მაგალითს.

შოთა გიჟოშვილი

უფლის გაცხადების დღესასწაული

6 იანვარს მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში უფლის გაცხადების დიდი დღესასწაული აღინიშნა. წმიდა წირვა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა. წირვის შემდეგ მრევლმა მეუფე ჯუზეპეს ეპისკოპოსად კურთხევიდან 23 წლის იუბილე მიულოცა.

ეპიფანიის დღესასწაული, იგივე ,,სამი მოგვის" ან ,,სამი მეფის დღესასწაული", კათოლიკე ეკლესიაში III საუკუნიდან აღინიშნება და იგი უკავშირდება მათეს სახარების მონათხრობს სამი მოგვის შესახებ, რომლებიც აღმოსავლეთიდან მოვიდნენ და იესოს ოქრო, გუნდრუკი და მური მიართვეს. ოქრო - როგორც მეფეს, გუნდრუკი - როგორც ღმერთს და მური, როგორც ადამიანს. ამ დღეს პირველი ქრისტიანები ასევე აღნიშნავდნენ ქრისტეს შობის დღესასწაულს. IV საუკუნეში შობის დღესასწაულის აღნიშვნა გადაწყდა 25 დეკემბერს, ხოლო უფლის გაცხადების დღესასწაულისა ისევ 6 იანვარს.

უფლის გაცხადების დღესასწაულზე ტაძრებში იკურთხება ცარცი და გუნდრუკი, შემდგომ კი ისინი მორწმუნეებს სახლში მიაქვთ. ცარცით სახლის კარზე აწერენ სამ ასოს: C+M+B. ამ ასოებს სხვადასხვა ინტერპრეტაცია აქვთ: ერთი ვერსიით, ეს არის მოგვთა სახელების პირველი ასოები: C - კასპარი, M - მელხიორი და B - ბალთაზარი. სხვა ვერსიის მიხედვით, C+M+B იშიფრება ასე - Christus Mansionem Benedicat - დაე, ქრისტემ აკურთხოს ეს სახლი.

ეს წესი დაკავშირებულია ძველი აღთქმის გამოსვლის წიგნთან, რომლის მიხედვითაც ებრაელები სახლის კარებს აღნიშნავდნენ საპასექო კრავის სისხლით (გამ. 11. 1-13,16). ქრისტიანები ამ ხერხით ქრისტეს სთხოვენ თავიანთი სახლების კურთხევას და ასევე საჯაროდ აღიარებენ თავიანთ რწმენას. ამ დღეს კათოლიკეებს ევალებათ წმიდა წირვაზე დასწრება და თავის შეკავება იმ სამუშაოსაგან, რომელიც ხელს უშლის უფლის მიმართ პატივისცემის გამოხატვას ან სიხარულის განცდას.

სხვადასხვა ქვეყანაში ამ დღესასწაულზე სხვადასხვა ტრადიცია არსებობს. მაგალითად, პოლონეთში მოგვები დადიან ოჯახებში და სამი მოგვის საგალობლით ულოცავენ ამ დღეს სახლის პატრონებს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ საჩუქრებს უძღვნიან.

საფრანგეთში ამ დღეს აცხობენ ე.წ. ,,მოგვების ნამცხვარს", რომელსაც ოჯახის წევრები მიირთმევენ.

ესპანეთში კი, არც შობის და არც წმიდა ნიკოლოზის დღესასწაულზე არ აძლევენ ბავშვებს იმდენ საჩუქარს, როგორც 6 იანვარს.

იტალიაში, ლეგენდის თანახმად, ჯადოქარი თავისი ცოცხით მოფრინდება, ბუხრიდან ჩავა სახლებში და ბავშვებს, რომლებიც კარგად იქცეოდნენ, ტკბილეულს მისცემს, ხოლო ვინც ცუდად იქცეოდა - „შავ ნახშირს". ეს „შავი ნახშირიც" ასევე შაქრით მზადდება და ტკბილეულია, თუმცა ვიზუალურად ნახშირის ეფექტი აქვს.

ნათლისღების დღესასწაული

2023 წლის 8 იანვარს კათოლიკე ეკლესიაში ნათლისღების დღესასწაული აღინიშნა. უფლის ნათლისღების საიდუმლოს ჯერ კიდევ ეკლესიის დაარსებიდან ზეიმობდნენ და იგი უფლის გაცხადების დღეს აღინიშნებოდა. ნათლისღება უფლის გაცხადების იმ სამ საიდუმლოს შორის იყო, რომელსაც ერთ დღეს ზეიმობდნენ: მოგვების მისვლა იესოსთან, უფლის ნათლისღება და პირველი სასწაული გალილეის ქალაქ კანაში.

1955 წელს უფლის ნათლისღება კალენდარში აღინიშნა ცალკე დღესასწაულად. ბოლო ლიტურგიული რეფორმის შემდეგ ეს დღესასწაული უფლის გაცხადების მომდევნო კვირადღეს აღინიშნება, ამ ზეიმით კი შობის პერიოდი მთავრდება.

დღეს აღვნიშნავთ იმ საიდუმლოს, როცა იესო იორდანეს წყალში ჩავიდა და ნათელი იღო წმიდა იოანეს, თავისი წინამორბედის ხელით. იესო, რომელიც წმინდა, უბრალო და უმანკო იყო, არ საჭიროებდა განწმედას, მაგრამ მან მაინც ისურვა ამ განწმედის შესრულება, რათა წმიდა ეყო წყალი, რომელიც ნათლობის საიდუმლოებაში უნდა გამხდარიყო განწმედის წყარო.

წესისამებრ, უფლის ნათლისღების კვირადღეს, წირვის დასაწყისში, იკურთხება წყალი და მარილი. შემდეგ კი ამ წყლით მოძღვარი მორწმუნეებს აკურთხებს, რაც მათთვის ნათლობის საიდუმლოს გახსენების სიმბოლოა. ასევე შესაძლებელია ნაკურთხი წყლის ეკლესიიდან სახლში წაღება, რათა ამ წყლით მორწმუნემ სახლიდან გამოსვლისას პირჯვარი გამოისახოს, ანდა ასხუროს თავის საცხოვრებელს.

დღევანდელი დღე გვაჩვენებს ნათლობის საიდუმლოს მნიშვნელობას. ამ საიდუმლოში განვიწმიდეთ პირველქმნილი ცოდვისაგან და დავიბადეთ, როგორც ღვთის ნაშვილები შვილები. ასევე ვმონაწილეობთ ქრისტეს ღირსებაში, რომელიც მამა ღმერთმა დაამოწმა იორდანეში მისი ნათლობის დროს: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე“.

წმიდა საყდრის დესპანები საქართველოში

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „საბა“ 8 (320), 2022

2018 წლიდან დღემდე საქართველოსა და სომხეთში წმინდა საყდრის დესპანია არქიეპისკოპოსი **ჟოზე აველინო ბეტენკური**. საქართველოში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე იგი აქტიურად ჩაერთო დიპლომატიურ, სასულიერო და საზოგადო საქმიანობაში. მოინახულა ყველა კათოლიკური საკრებულო, სისტემატურად მონაწილეობს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფორუმებში, მხარდაჭერას უწევს ჰუმანიტარულ და სამეცნიერო პროექტებს. მისი აქტიური ძალისხმევით გაიხსნა წმინდა საყდრის რეზიდენცია ერევანში. ნუნციუსმა მალევე დაამყარა მეგობრული ურთიერთობა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმთავრებთან; იგი მონაწილეობს ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვებში, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა კონფესიის ლიდერებთან. მისი ნუნციუსობის დროს, 2019 წლის 29-31 დეკემბერს, დაიგეგმა და განხორციელდა წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივნის (პრემიერ-მინისტრი) პიეტრო პაროლინის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, ხოლო 2021 წლის 17-19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ოფიციალური ვიზიტი ვატიკანში. ამ უკანასკნელის ფარგლებში გაიმართა პრეზიდენტის აუდიენცია რომის პაპ ფრანცისკესთან და ასევე ხელი მოეწერა ვატიკანთან ორ მემორანდუმს კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ.

დასკვნის მაგივრად

ვატიკანი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც 1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და განვლილი სამი ათწლეულის მანძილზე რეალური საქმითა და თანადგომით დაადასტურა თავისი მეგობრული დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ. საქართველოში რვაასი წელია, რაც უწყვეტად ფუნქციონირებს ლათინური წესის კათოლიკე ეკლესია და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არაერთგზის დადასტურდა როგორც ქართველი კათოლიკეების ერთგულება ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებისადმი, ასევე წმინდა საყდრის თანადგომაც საქართველოსადმი. საქართველოს თანამშრომლობა წმინდა საყდრთან, ისევე როგორც სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან, ეფუძნება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და საერთაშორისო დეკლარაციებით აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ფუნდამენტურ მოთხოვნებს და ვითარდება ორი ქვეყნის თანაბარუფლებიანი პარტნიორული თანამშრომლობის სულისკვეთებით. წმინდა საყდრის ოფიციალური პოლიტიკა ემყარება როგორც სახარებისეულ სწავლებას, ასევე ვატიკანის II მსოფლიო კრების დეკრეტებსა და პაპების ენციკლიკებში გამოთქმულ იდეებს. წმინდა საყდარი, რომელსაც ამოძრავებს ქრისტიანულ ეკლესიებთან თანასწორი თანამშრომლობის სურვილი, მოწოდებულია, დაიცვას კათოლიკე მორწმუნეთა უფლებები, საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის საერთაშორისო უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთანავე, წმინდა საყდარი ცდილობს, საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებულ ნორმებში, ქართულ სახელმწიფოს აღმოუჩინოს თანადგომა საერთაშორისო ასპარეზზე, გაუწიოს საქართველოს მოქალაქეებს ჰუმანიტარული დახმარება. ამ თანამშრომლობას კი ორმხრივ სასარგებლო პერსპექტივები აქვს როგორც წმინდა საყდრის, ასევე საქართველოსათვის.

პაპი ბენედიქტე XVI

2022 წლის 31 დეკემბერს, დილის 9:34 საათზე, ვატიკანის რეზიდენციაში 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ემერიტუსი პაპი, ბენედიქტე XVI. 2013 წლიდან, გადადგომის შემდეგ, პაპი იმყოფებოდა Mater Ecclesiae-ის მონასტერში, რომელიც მან რეზიდენციად აირჩია.

31 დეკემბერს, გამთენიისას, პაპის გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე, ექთანმა გაიგონა, როგორ წარმოთქვა მან „სუსტი, მაგრამ განსხვავებული ხმით იტალიურად: „უფალო, მიყვარხარ!“. ეს სიტყვები იოსებ რაცინგერის ცხოვრების პრაქტიკულ სინთეზს წარმოადგენს. იგი მრავალი წლის მანძილზე ემზადებოდა შემოქმედთან პირადი შეხვედრისათვის. „ჩემი ცხოვრების მსაჯულთან მეგობრობა საშუალებას მაძლევს თავდაჯერებულად შევაღო სიკვდილის ბნელი კარი“, - 2022 წლის 6 თებერვალს ამ სიტყვებით დაასრულა ბენედიქტე XVI-მ თავისი წერილი, რომელიც მიუნხენისა და ფრაინურგის არქიეპარქიების ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ეხებოდა. წერილს, ამ ბოლო წინადადებით, წინასწარმეტყველური ელფერი აქვს, რადგან ნამდვილი, სულიერი ანდერძის შესახებ გვატყობინებს. ეს წინასწარმეტყველური ნაწყვეტი ხელმოწერილია ემერიტუსი პაპის მიერ და მოგვითხრობს მის ფიქრებზე სიკვდილის შესახებ: ,,მალე წარვსდგები ჩემი ცხოვრების უმაღლესი მსაჯულის წინაშე და მიუხედავად ჩემი განვლილი გრძელი ცხოვრებისა, ბევრი მიზეზი მაქვს შიშისა და შფოთვისთვის. თუმცა, მე ხალისიანი განწყობა მაქვს, ვინაიდან მტკიცედ მწამს, რომ უფალი გარდა სამართლიანი მსაჯულისა, ასევე არის მეგობარი და ძმა, რომელმაც თავად უკვე განიცადა ჩემი მანკიერებები და ამიტომაც, ის, როგორც მსაჯული, იმავდროულად არის ჩემი დამცველი (Paraclito). სამსჯავროს ჟამის ზღურბლზე, ჩემთვის გასაგები ხდება ქრისტიანად ყოფნის მადლი. ქრისტიანად ყოფნა მაძლევს ცოდნას, უფრო მეტიც, მამეგობრებს ჩემი ცხოვრების მსა-

ჯულთან და მეხმარება თავდაჯერებულად შევაღო სიკვდილის ბნელი კარი. ამასთან დაკავშირებით, გამუდმებით მახსენდება თუ რას მოგვითხრობს იოანე გამოცხადების წიგნის დასაწყისში - მე ვიხილე ძე კაცისა თავისი დიდებით და დავეცი მის ფერხთით,როგორც მკვდარი. ხოლო მან თავისი მარჯვენა დამადო და მითხრა: ნუ გეშინია! მე ვარ“ (გამოცხ. 1:12-17).

...

იოზეფ რაცინგერი, პაპი ბენედიქტე XVI, დაიბადა 1927 წლის 16 აპრილს გერმანიაში, მარკტლში. მან ადრეულ ასაკშივე აღმოაჩინა ქრისტესადმი რწმენის სილამაზე და ჭეშმარიტება. 1951 წელს მღვდლად ეკურთხა. 31 წლის ასაკში ფრაიზინგის ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი გახდა. იყო დოგმატიკის პროფესორი ბონის, მიუნსტერის, ტიუბინგენისა და რეგენსბურგის უნივერსიტეტებში. 1981 წლიდან, პაპად არჩევამდე, იყო რწმენის კონგრეგაციის თავკაცი. ამ მაღალი უფლემოსილებით, მთელი ამ წლების განმავლობაში, იცავდა კათოლიკური ეკლესიის ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს ლიბერალიზმის მომძლავრებისგან (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში) და შიდაგამთიშველური გამოვლინებებისგან, ასევე წინ აღუდგა გარკვეულ მღვდელთა პოლიტიკურ (სოციალისტურ) აქტიურობებს ლათინურ ამერიკაში. 2005 წლის 19 აპრილს იგი 265-ე პაპად აირჩიეს, სახელად კი ,,ბენედიქტე XVI“ დაირქვა. 2013 წლის 28 თებერვალს ბენედიქტე XVI გადადგა ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების გამო. 15 საუკუნის შემდეგ, ის იყო პირველი პაპი, რომელმაც თანამდებობა ნებაყოფლობით დატოვა. აღსანიშნავია, რომ მისი პაპობის დროს, ორჯერ შედგა მსოფლიო ახალგაზრდული დღეები. პირველად ის იყო გერმანიაში, კერძოდ, ქალაქ კოლნში, შემდეგ კი 2011 წელს, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში.

...

პაპი ფრანცისკე: „გულებში დიდ მადლიერებას ვგრძნობთ: მადლობა ღმერთს, რომ ის აჩუქა ეკლესიასა და მსოფლიოს; მადლობა მას, ყველა სიკეთისთვის, რასაც აკეთებდა, უფრო მეტად კი, რწმენისა და ლოცვის მოწმობისთვის, განსაკუთრებით, ცხოვრების ბოლო წლებში, პენსიაზე გასვლის შემდეგ“.

...

ჟოზე აველინო ბეტენკური, არქიეპისკოპოსი, საქართველოში წმიდა საყდრის დესპანი: „ჭეშმარიტების თანამშრომელი“ - ასეთი გახლდათ პაპი ბენედიქტე XVI-ის საეპისკოპოსო დევიზი. ჭეშმარიტებისადმი სწრაფვა იყო მისი ცხოვრების შეჯამება, ის გზა, რომელიც მან გაიარა, როგორც მღვდელმა, უდიდესმა ღვთისმეტყველმა და ბოლოს, როგორც უზენაესმა პონტიფექსმა. მან კარგად უწყოდა ადამიანის მანკიერებანი და წინააღმდეგობები, მაგრამ გვასწავლიდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ეკლესია ქრისტეს მისტიკური სხეული და, ამდენად, ყველა დროის უმთავრესი ორიენტირია. თავის სწავლებაში რაცინგერი ხშირად აღნიშნავდა, რომ რწმენა აზროვნებას მოითხოვს, რათა ფანატიზმად თუ სიძულვილის აპოთეოზად არ გადაგვარდეს, ხოლო აზროვნება რწმენის სინათლის გარეშე იოლად იქცევა არაადამიანურობის ინსტრუმენტად და, როგორც წმიდა იოანე პავლე II ამბობდა, სიკვდილის კულტურის მთავარ საფუძვლად. ბევრი თვალსაზრისით, იგი ბენედიქტელი ბერი და სქოლასტიკოსი გახლდათ. ალბათ ამიტომაც თავკაცობდა ვატიკანის II მსოფლიო კრებაზე შემოთავაზებული ყოვლისმომცველი ლიტურგიულ რეფორმის განხორციელებას, ხოლო მისი ქადაგებები, გამოსვლები თუ ლექციები ეკლესიის ჭეშმარიტი მამის სიბრძნითაა აღბეჭდილი... იგი იყო უაღრესად სერიოზული ინტელექტუალი, 65-ზე მეტი გამოქვეყნებული შრომისა და უამრავი სტატიის ავტორი, დაუღალავი მასწავლებელი სახარებისეული სიწმინდისა... ის გახლდათ გადამდგარი პაპი. მისთვის პაპის ძალაუფლება მსახურება იყო. ქრისტიანმა იცის, როგორ უნდა განიძარცვოს ძალაუფლებიდან და არ დაელოდოს, სანამ სიკვდილი მოსთხოვს ამას. ეს ავანგარდული და შემოქმედებითი გადადგომა გახლდათ. მართ-

ლაც, იგი ხომ პირველი პაპი იყო, ვინც „დამსახურებული პაპის“ წოდება მიიღო... რაცინგერს ღრმა და ძმური მეგობრობა აკავშირებდა პაპ ფრანცისკ-ესთან, რომელმაც, წინამორბ-ედის გარდაცვალების დღეს, წმ. პეტრეს ტაძარში, „ტე დეუ-მისა“ და საახალწლო საღამოს ლოცვების დროს, მონატრებითა და მადლიერებით გაიხსენა მისი არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებები და კეთილშობილება.

მე, პაპ ბენედიქტეს უშუა-ლო სიახლოვეს, არაერთი წელი ვიმსახურე მის გადადგომამდე, რომში ყოფნისას მას ვსტუმრობ-დი ხოლმე. ის იყო ჭეშმარიტად „ჯენტლმენი ჯენტლმენთა შო-რის“. მას მოკვდავთა სიკვდილი არ აშინებდა, რადგან მისი მზერა მუდამ მარადიული სიცოცხ-ლისკენ იყო მიპყრობილი. დაე, განისვენოს მარადისობაში.

...

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი: ვატიკანიდან ამ ამბის შეტყო-ბის შემდეგ ჩემს გონებაში თა-ვისთავად ამოტივტივდა ერთად-ერთი პირადი შეხვედრა პაპ ბენედიქტესთან 2008 წლის 24 აპრილს ად ლიმინა ვიზიტისას. Ad Limina ესაა ვიზიტი, რითაც ადგილობრივი ეკლესიების ეპის-კოპოსები ოფიციალურად ჩა-დიან ხოლმე წმიდა საყდარში პერიოდულად, ყოველ 5-6 წელი-წადში ერთხელ, სადაც ეპისკოპ-ოსი თავის ეკლესიას წარადგენს საყოველთაო ეკლესიის წინაშე, საუბრობს მის პრობლემებზე და სირთულეებზე, ისევე როგორც მისი ცხოვრების სასიხარულო და დამაიმედებელ მხარეებზე. ... მე, მრავალი მორწმუნის მსგავსად, პაპი ბენედიქტე წარმომედგინა დიად, ბრწყინვალე თეოლოგად, მაღალ ინტელექტუალად, რო-მელთანაც შეგეძლო საუბარი რწმენის საკითხებზე საფუძვლი-ანად, თუმცა, ამავე დროს, ცივ, თავშეკავებულ და ინტროვერ-ტულ ადამიანად, „გერმანე-ლად“, ხალხისაგან ოდნავ განზე რომ დგას. მასთან შეხვედრისას მოველოდი ღრმა, თუმცა განყ-ენებულ საუბარს. არადა, ალბათ ამ წინასწარ შექმნილი შეხედ-ულების მიზეზითაც, საუბრიდან გამოვედი სრულებით გაოგ-ნებული. დამხვდა საყვარელი, ყურადღებიანი, გულისყურით მსმენელი მამა. ვიგრძენი, რომ ვიყავი შვილი, შვილი, რომელსაც შეეძლო წარედგინა კავკასიის მცირე ეკლესიის დიადი განძი, რომელიც მიანდეს მას, როგორც ის უმნიშვნელოვანესი რამ, რის მოსმენასაც პაპი დიდი ხნიდან ელოდა. ვერასოდეს წარმოვიდ-გენდი, რომ პაპი რატცინგერი ტკბილი და სათუთი პიროვნება იქნებოდა. მისი ღიმილი, იმ ხან-მოკლე, მაგრამ ინტენსიურ შეხ-ვედრაზე, მახსენებდა იმ მწყემ-სის ღიმილს, რომელიც მხრებზე ისვამს ნაპოვნ ცხვარს, დრაქ-მის პოვნით გახარებული ქალის ღიმილს, იმ მამის ღიმილს, რო-მელიც შორიდანვე ამჩნევს მომა-ვალ შვილს. იოლად გასაგები და დასამახსოვრებელი სახარები-სეული ღიმილი. ადამიანის ნამდ-ვილი ღიმილი. მან ამ სიტყვებით მიმართა ბოლოს ჩვენს ეკლე-სიას: „ყოველ თქვენს საქმიანო-ბაში მტკიცედ შეინახეთ ღვთის იმედი. იგია ეკლესიის მაშენებე-ლი და ხალხთა მეგზური, თავისი გონებამიუწვდომელი დახსნის ჩანაფიქრით“.

...

ჯორჯა მელონი, იტალიის პრემიერ მინისტრი: ,,ბენედიქტე XVI იყო რწმენისა და გონების გიგანტი; უფალზე შეყვარებული ადამიანი, რომელმაც თავი მი-უძღვნა საყოველთაო ეკლესიის მსახურებას. იგი გვესაუბრება და კვლავ განაგრძობს საუბარს ჩვენს გულებსა და გონებაში თა-ვისი სწავლების სულიერ, კულ-ტურულ და ინტელექტუალურ სიღრმეებში. იგი იყო ქრისტიანი, მწყემსი, ღვთისმეტყველი, უდი-დესი ფიგურა, რომელსაც ისტო-რია არ დაივიწყებს.

სერჯიო მატარელა, იტალიის პრეზიდენტი: ,,ემერიტუსი პაპის, ბენედიქტე XVI-ის გარდაცვალე-ბა გლოვაა იტალიისათვის. მისმა კეთილშობილებამ და სიბრძნემ დიდი სიკეთე მოუტანა, რო-გორც ჩვენს, ისე საერთაშორისო საზოგადოებას. იგი ემერიტუსი პაპის რანგში თავდაუზოგავად

და უპრეცედენტოდ, თავმდაბლობითა და სიმშვიდით განაგრძობდა მსახურებას თავისი ეკლესიისადმი. მისი პიროვნება იტალიელი ხალხისათვის დაუვიწყარი დარჩება. ინტელექტუალი და ღვთისმეტყველი, იგი დახვეწილად განმარტავდა დიალოგის, მშვიდობის, პიროვნების, ადამიანის ღირსების მნიშვნელობას, როგორც უმაღლეს რელიგიურ ინტერესს. ჩვენ მადლიერებით ვუცქერთ მის მოწმობასა და მაგალითს“.

ემანუელ მაკრონი, საფრანგეთის პრეზიდენტი: ,,მას შემდეგ, რაც განცხადება გავრცელდა მისი უწმინდესობის, ბენედიქტე XVI-ის გარდაცვალების შესახებ, გონებით საფრანგეთისა და მთელი მსოფლიოს კათოლიკეებთან ერთად ვარ. იგი მთელი გულითა და გონებით შრომობდა უფრო ძმური სამყაროს შესაქმნელად“.

ურსულა ფონ დერ ლიაენი, ევროკომისიის პრეზიდენტი: ,,პაპ ბენედიქტე XVI-ის გარდაცვალებამ გული დამწყვიტა. ჩემი სოლიდარობა ყველა კათოლიკეს. მან თავისი გადადგომით ძლიერი ნიშანი მისცა საზოგადოებას. იგი თავდაპირველად საკუთარ თავში ხედავდა ღმერთისა და ეკლესიის მსახურს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ფიზიკური ძალების ნაკლებობა განიცადა, მსახურებას ლოცვის ძალით განაგრძობდა“.

ილია II, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი: ,,ბენედიქტე XVI ჩვენთვის დარჩება, როგორც კათოლიკური ეკლესიის მიერ აღიარებული ქრისტიანული ღირებულებების ერთგული დამცველი, ძლიერი და ფრიად ღირსეული პიროვნება, რომელმაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დამსახურებულად მოიპოვა“.

გარეგინ II, სომხური სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოსი: ,,ჩვენ ვიხსენებთ მის უწმინდესობასთან ჩვენი შეხვედრის კარგ მოგონებებს და მადლობას ვუხდით ღმერთს გარდაცვლილი პაპის ეკლესიისადმი თავდადებული სამსახურისთვის. მხურვალედ ვლოცულობთ უფლისადმი მისი ერთგული მსახურის გარდაცვალების გამო, ვთხოვთ მოწყალე ღმერთს, მიიღოს იგი მარადიულ სიხარულში“.

მღვდელმონაზონი ეფრემ გ. ლომიძე, პროფ. მიხაელა ქ. ჰაშტეტერი, მამა შტეფან ჰორნი:

რომის ემერიტირებულ პაპთან, ბენედიქტე XVI-სთან შეხვედრამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ჩვენს სულიერ, არამედ ჩვენს ინტელექტუალურ ცხოვრებაზეც. მისმა პიროვნებამ, მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ვენის იოანე დამასკელის სახელობის სტუდენტური სახლის რაობა. ემერიტირებულ პროფესორს, მამა შტეფან ჰორნს (იოსებ რაცინგერის ასისტენტი რეგენსბურგში, რაცინგერის მოწაფეთა წრის სპიკერი), პროფესორ მიხაელა ჰაშტეტერს (მრავალი წლის განმავლობაში რაცინგერის მოწაფეთა ახალი წრის სპიკერი) და თეოლოგიის ჰაბილიტერებულ დოქტორს, მამა ეფრემ, გივი ლომიძეს შესაძლებლობა მოგვეცა, მონასტერში „მატერ ეკლესია“ (Mater Ecclesia) შევხვედროდით პაპ ბენედიქტეს და მასთან ერთსაათიანი, პირადი საუბარი გვქონოდა. იოსებ რაცინგერი ლათინურ დასავლეთში არის ის პიონერი თეოლოგი, რომელმაც კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის არსებულ ინტერკონფესიურ დიალოგში ბიზანტიური ტრადიციის მქონე მართლმადიდებელი ეკლესიაც ჩართო. ამით მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა და სისავსე შეჰმატა ქრისტიანთა ერთობის მიღწევისათვის გაღებულ ძალისხმევას.

2022 წლის სექტემბერს, ჩვენი ბოლო შეხვედრისას, ემერიტირებულმა პაპმა, ბენედიქტე XVI-მ ერთგვარი სამეცნიერო ანდერძი დაგვიტოვა. მან თქვა, რომ თეოლოგიას არ აქვს უფლება იყოს ადამიანის გააზრების საზღვრების მიღმა არსებული აბსტრაქტული მსჯელობა. ამის ნაცვლად, იგი უბრალო მორწმუნეებზე უნდა ორიენტირდეს. თეოლოგიის მასშტაბს უბრალო ხალხთა რწმენა უნდა წარმოადგენდეს და განსაზღვრავდეს, ამით ღვთისმეტყველება შეძლებს თავისი უბრალოების შენარჩუნებას. პაპ ბენედიქტეს ჩვენთვის დატოვებული სულიერ-თეოლოგიური ანდერძიც სწორედ ეს იყო: უბრალოება.

წმიდა ვალენტინის ბისკვიტი

წმიდა ვალენტინი (Valentinus), რომელსაც კათოლიკე ეკლესია 14 თებერვალს მოიხსენიებს, III საუკუნეში ეწამა. დღეს წმიდა ვალენტინის დღე „შეყვარებულთა დღესასწაულია“, ამ დროს ჭაბუკები და ქალიშვილები ერთმანეთს უგზავნიან სასიყვარულო შინაარსის წერილებს - „ვალენტინებს“. მე-17 საუკუნის ფრანგი მღვდელი და ეკლესიის ისტორიკოსი ლუისებასტიან ტილემონი ვარაუდობს, რომ ეს ტრადიცია სათავეს იღებს ძველი რომაული ჩვეულებიდან, რომლის მიხედვითაც ალალბედზე ირჩევდნენ საბედოს სახელს ქორწინებისა და შეყვარებულთა მფარველის, ქალღმერთ იუნონას დღესასწაულის წინადღით. ეს დღესასწაული, რომელიც რომში 15 თებერვალს აღინიშნებოდა, შემდგომ ხალხის ცნობიერებაში დაუკავშირდა წმიდა ვალენტინის ხსოვნის დღეს.

იტალიაში ამ დღესასწაულზე აცხობენ **წმიდა ვალენტინის ბისკვიტს** - Biscotti di san Valentino. მას ამზადებენ გულის ფორმის სახით: ერთმანეთთან შეერთებულია ორი გული, მარწყვის ჯემის შიგთავსით. ცომის ინგრედიენტები: ფქვილი, კვერცხი, ნაღების კარაქი, საფუარი, ვანილი და ლიმონის ცედრა.

დესერტები წმიდა აგათასთვის პატივის მისაგებად

წმიდა აგათა (Agatha) მოიხსენიება 5 თებერვალს, იგი III საუკუნეში ეწამა. ლეგენდის თანახმად, აგათა გაასამართლეს იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა პროკონსულ კვინტიანის ცოლობაზე და იგი ჯერ ბორდელში გამოამწვდიეს, შემდეგ კი ჩააგდეს ციხეში, სადაც მკერდი მოკვეთეს. აგათას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს და კოცონზე დაწვეს.

წმიდა აგათას დღესასწაულზე ამზადებენ ორ დესერტს: ოლივეტეს და კასატელას.

ოლივეტე (Olivette) - ზეთისხილის ფორმის ნამცხვარი, იმის მოსაგონებლად, თუ როგორ დაიმალა წმიდა აგათა რომაელი ჯარისკაცების დევნის დროს ზეთისხილის ხის ქვეშ, რომელმაც სასწაულებრივად დაფარა იგი თავისი ტოტებით. ოლივეტე მზადდება ზეთისხილის ფორმით მარციპანისაგან (დაფხვნილი ნუში შაქრის ფხვნილთან ან შაქრის სიროფთან ერთად), ემატება ერთი ჭიქა წყალი, სუფრის კოვზი ,,მარასკინო“ (Maraschino, იტალიური მწარე ალუბლის ლიქიორი), ან მსგავსი ხილის ლიქიორი. ნამცხვარს რთავენ მწვანედ ბუნებრივი საკვები საღებავით.

კასატელა (Cassatella) - ქალწულის მკერდის ფორმის ნამცხვარი, რომელიც მოგვაგონებს წმიდა აგათას ერთ-ერთ წამებას, როდესაც მას მკერდი მოკვეთეს. დესერტი მზადდება ბისკვიტის ცომისაგან (ფქვილი, შაქარი და კვერცხი), ემატება ვარდის ფურცლებით არომატიზებული ლიქიორი ,,როზოლიო“, შიგთავსს კი წარმოადგენს ,,რიკოტა“ (ricotta-იტალიური შრატის ყველი), გახეხილი შოკოლადი და დაშაქრული ხილი. ნამცხვარი დაფარულია აუცილებლად თეთრი მინანქარით, შუაში კი მოთავსებულია წითელი ალუბალი.

მარიო ოტობონი: „თავისუფლება - სიცოცხლის შემდეგ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი“

მარიო ოტობონი (Mário Ottoboni), APAC-ის (ციხეები ზედამხედველთა გარეშე) **დამფუძნებელი, 2019 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა. „საპყრობილეში ვიყავი და მომინახულეთ“, - ეს ის ფრაზაა, რომელმაც მისი ცხოვრება შეცვალა. იგი ხშირად იმეორებდა: „ვერასდროს ვერაფერს დაიწყებთ ქრისტეს გარეშე.“**

„დავუმორჩილოთ გონება გამოცდილებას? აი, ესაა მთავარი! სწორედ ასეა. მაგრამ ვის ეკუთვნის ეს ფრაზა?“ - გვითხრა მარიო ოტობონიმ, მამა ჯუსანის სიტყვების მოსმენის შემდეგ, როდესაც 2015 წლის ოქტომბრის ერთ დღეს, მეგობრებთან ერთად ვეწვიეთ მას სახლში, სან ჟოზე დუს კამპოსში (პორტ. São José dos Campos), სან პაულუდან 70 კილომეტრში. მარიო, რომელიც 14 იანვარს გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, APAC-ის (ციხეები ზედამხედველთა გარეშე) დამფუძნებელი იყო. მივედით მასთან, რადგან მისმა ამბავმა გაგვაოცა და მისი გაცნობის სურვილი აღგვიძრა. დაგვიხვდა ხნიერი კაცი, ნათელი გონების, მგზნებარე ხასიათის, საოცრად სტუმართმოყვარე და ყურადღებიანი; ადვოკატი, ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით. მის წინაპრებს შორის არიან პაპები ადრიანე V და ალექსანდრე VIII. მარიო ოტობონიმ 38 წლის ასაკში შეიცნო ქრისტე, როდესაც 1969 წელს, იეზუიტური მოძრაობა ,,კურსილოსის“ (Cursillos de Cristiandad, წარმოიშვა მაიორკაზე, ესპანეთში, 1940-1949 წლებში) ერთ-ერთი შეხვედრის დროს მას ჩაესმა იესოს სიტყვები, რამაც შეცვალა მისი ცხოვრება: ,,საპყრობილეში ვიყავი და მომინახულეთ“. აქედან დაიბადა 1972 წელს ციხის სამსახური, სახელწოდებით APAC - **აბრევიატურა** „Amando il Prossimo Amerai Cristo“ (**„მოყვასის სიყვარული ქრისტეს სიყვარულს ნიშნავს**“). დღეს ეს აბრევიატურა იშიფრება, როგორც „მსჯავრდებულთა დაცვისა და დახმარების ასოციაცია“. ამ სტრუქტურის მიზანია, განავითაროს ციხეში ისეთი საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს პატიმრის გამოსწორებას. APAC-ის მეთოდმა, რომელიც გამორიცხავს ციხის ზედამხედველებს საპატიმრო დაწესებულებებში, მოიპოვა ისეთი საერთაშორისო აღიარება, რომ დღეს ის გამოიყენება ბრაზილიის 100 ქალაქსა და მსოფლიოს 27 ქვეყანაში, მათ შორის, კოლუმბიაში, არგენტინაში, ესპანეთში, სამხრეთ კორეაში, კანადაში, შეერთებულ შტატებსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

ოთახის კედლები, სადაც ოტობონიმ მიგვიღო, მიღებული საჩუქრების წყალობით, მოგვითხრობდნენ ურთიერთობაზე იმ ადამიანებთან, რომლებიც წლების განმავლობაში იყენებდნენ APAC-ის მეთოდს. მარიომ განგვიმარტა, რომ პატიმრებთან ერთად შესაძლებელია მივიღოთ მონანიების გამოცდილება, ეს ეხება ყველას, ვინც მათ მოსანახულებლად მოდის და ვინც მათ ეხმარება. მარიომ გაიხსენა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჯგუფი, რომლის წევრებმაც მას უთხრეს: „ადრე ჩვენ გვქონდა წარმოდგენა იმაზე, თუ რას ნიშნავს სიყვარული. ახლა კი, ჩვენი გამოცდილების წყალობით, გავიგეთ, თუ რა არის ეს.“ მერე კი დასძინა: „მაგრამ ისინი ხომ მიჩვეულნი არიან სიკვდილით დასჯაზე ფიქრს... როგორი ცვლილებაა...“. ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო ამ გამოცდილების ასეთ ფართო გამოყენებას, არის პატიმართა გამოსწორების მაჩვენებელი, რომელიც 80%-მდე იზრდება ამ მეთოდის მეშვეობით, შედარებით დანარჩენ მსოფლიოში, სადაც საშუალო მაჩვენელია 30%. ბრაზილიის უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, APAC-ის სტრუქტურებში არ დაფიქსირებულა არცერთი ამბოხება. მართლაც შთამბეჭდავია იმის დანახვა, როგორი სიახლე შეიძლება მოიტანოს „მკვლელის“ მიმართ გამოვლენილმა ადამიანურობამ.

კიდევ ერთმა რამემ გამაოცა: მიუხედავად ცხოვრებაში მიღწეული წარმატებისა, ოტობონის ყურადღება მიპყრობილი იყო აწმყოზე, რომელშიც ყველას გვიწევს ცხოვრება. გასაოცარი იყო უკვე ოთხმოც წელს მიღწეული კაცის ენერგიულობა და ენთუზიაზმი; მან გვითხრა: „არ შეიძლება გამეორება, რადგან ყოველთვის ხელახლა უნდა გამოიგონო ყველაფერი, ყველაფერი ყოველთვის ახალი უნდა იყოს“. ასევე ვისაუბრეთ სახელმწიფოს სეკულარულ ხასიათზე. ერთმა ჩვენმა მეგობარმა გაიხსენა სალვადორის შტატში APAC-ის გახსნასთან დაკავშირებული მაშინდელი დისკუსია და ოტობონის ჰკითხა, თუ როგორ შეიძლება გარანტირებული იყოს სახელმწიფო დაწესებულების სეკულარულობა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მისი მეთოდი ემყარება რწმენას. „სახელმწიფოს სეკულარულობა იმას როდი ნიშნავს, რომ ის უღმერთო უნდა იყოს, - გვითხრა მარიომ, - ღმერთის გარეშე ვერაფერს გავხდებით, მაგრამ ჩვენ, ადამიანებს, ყოველთვის გვგონია, რომ ეს შესაძლებელია. არ არსებობს სათნოება იმაზე უფრო განმწმენდელი, იმაზე უფრო მშვენიერი, ვიდრე ღვთის სიყვარულია. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ ეს, როგორც ხილული გამოცდილება“. მერე კი განგვიცხადა, რომ მათ, ვინც მას სტუმრობდა და სხვადასხვა მიზეზით ჩიოდა, იგი პასუხობდა: „მაგრამ სიცოცხლე, სიცოცხლე! გვაქვს კი სიცოცხლეზე ძვირფასი რამ?“ მიდგომა, რომელიც ასახავდა იმ ატმოსფეროს, რომელიც აღმოვაჩინეთ, როდესაც ჩვენ პირადად ვესტუმრეთ APAC-ს, მდგომარეობდა არა წესების ძალაში, არამედ თავისუფალი ადამიანების ნებაში, მიყოლოდნენ არსებულ შეთავაზებას. ამაზე ოტობონიმ ალერსიანად და მხნედ გვიპასუხა: ,,სიცოცხლის შემდეგ ყველაზე ძვირფასი, რაც მივიღეთ, ეს არის ჩვენი თავისუფლება“.

იმ ოქტომბრის დღეს ჩვენ მასთან ორ საათზე მეტხანს დავყავით. დამშვიდობებისას მან გვისახსოვრა თავისი რამდენიმე წიგნი. გავუყევით ბიბლიოთეკისაკენ მიმავალ დერეფანს, რომლის გასწვრივაც რაღაც მცენარეები შევნიშნეთ. „აქ ყველაფერი გვაქვს: ოქრო, საკმეველი და მური“, - გვითხრა მარიომ და მირონის ფოთოლი მოწყვიტა. ერთ-ერთმა ჩვენგანმა ჰკითხა: „კი მაგრამ, ოქრო სად არის?“ მან უპასუხა: „იქ, საძინებელში“. იგი გულისხმობდა თავის მეუღლეს, რომელიც უკვე 29 წელი იყო პარალიზებული ორი ინსულტის შემდეგ. მარიომ შეგვიყვანა მის ოთახში და ჩვენ გავიგონეთ, როგორ ჰკითხა ქალს ღიმილით: „აბა, კიდევ გსურს ჩემზე დაქორწინება?“

მარიო ოტობონის ცხოვრების საგანძური მართლაც იყო გაცნობა საიდუმლოსი, რომელიც დომინირებდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში და საშუალებას აძლევდა ასეთ დიდ ადამიანს, ყოფილიყო ესოდენ უბრალო და გულწრფელი. მის ცხოვრებაში ყველაფერი ეფუძნებოდა უფლის ღრმა რწმენას და ამიტომაც განგვიცხადა: „ვერასდროს ვერაფერს დაიწყებთ ქრისტეს გარეშე. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ღმერთია ყოველივეს წარმმართველი, სწორედ იგი გვეხმარება სიძნელეებისაგან თავის დაღწევაში. ღმერთი სიკეთეა“. მარიო ოტობონის ცხოვრება იყო გულმოწყალების დიადი მოწმობა მთელი მსოფლიოსთვის; სიკვდილის წინ მეგობრისთვის მიწერილი მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ყველაფერი გაივლის, გარდა სიყვარულისა, რომელიც დროზე ძლიერია“.

მამა ჟულიან დე ლა მორენა

მამა ჟულიან დე ლა მორენა მეგობრებთან ერთად
სტუმრად მარიო ოტობონისთან (მარჯვნიდან მეორე)

ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის - 2023

,,სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი“ (ესაია 1,17).

საუკუნეზე მეტია, რაც ყოველწლიურად, იანვრის თვეში, ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილი ლოცვების კვირეული ტარდება; 60 წელზე მეტია, თბილისის კათოლიკური საკრებულო ამ ლოცვების ორგანიზატორია, ხოლო უკვე 23 წელია, რაც საქართველოში ქრისტიანთა ერთობის ლოცვებს მორიგეობით მასპინძლობენ: ლათინური წესის კათოლიკე ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია, ლუთერული და ევანგელური ეკლესიები.

2023 წლის 20 იანვარს ერთობის ლოცვას პირველად უმასპინძლა ასურულ-ქალდეურმა კათოლიკურმა ეკლესიამ თბილისში. ლოცვაში მონაწილეობდნენ ოთხივე კონფესიის მღვდელმთავრები, მღვდელ-მონაზონები და სამრევლოების წევრები, ასევე პიროვნულად მონაწილეობდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური, მამა ლეონ გელოვანი. მსახურებას დაესწრო წმინდა საყდრის დესპანი, მისი აღმატებულება ჟოზე აველინო ბეტენკური.

ქორეპისკოპოსი ბენი ბეტიადგარი, წმ. წამებულ მარ შიმონ ბარ საბაეს ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ტაძრის წინამძღვარი: საქართველოში ეს ძალზე მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი ტრადიციაა, რომელშიც გამოხატულია ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სურვილი, რათა ვიყოთ ყველანი ერთნი. ამასთან ერთად, ეკუმენური ლოცვა ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ერთიანობის მშვენიერება მრავალფეროვნებაშია. ერთიანობა არ ნიშნავს ერთსახოვნებას და უნიფორმიზმს. „ვიყოთ ყველანი ერთნი“ ეხება არა ჩვენს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებას, არამედ იმას, თუ როგორ გვესმის თანაცხოვრება, როგორ ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან და სხვა რელიგიებთან, როგორ ვითავისებთ უფლის მცნებას და ვასრულებთ თუ არა ამ ყველაფერს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გიული გულუა, წმ. წამებულის მარ შიმონ ბარ საბაეს ასურულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის სამრევლო საბჭოს წევრი: ქრისტიანთა ერთობის ეკუმენურ ლოცვას პირველად უმასპინძლა ჩვენმა ეკლესიამ, რაც ჩვენთვის დიდი პატივია და ძალზე სასიხარულო. მნიშვნელოვანია არსებობა თვით ამ ტრადიციისა, რომელიც ასახავს როგორც ქრისტეს ეკლესიის, ისე ჩვენი მრავალსახოვანი საზოგადოების მრავალფეროვნებას; ის სამყაროს ანარეკლია, სადაც ღირსეული თანაცხოვრების უზრუნველყოფა ჩვენი, როგორც მორწმუნეების, პასუხისმგებლობაცაა.

თომა ლიპარტიანი, თბილისში ანგლიკანური /ეპისკოპალური/ ეკლესიის სამრევლოს ხელმძღვანელი: წელს პირველად მივიღე მონაწილეობა ერთიანობის ლოცვაში; ამა წლის აპრილში ჩვენი ეკლესია იზეიმებს საქართველოში არსებობის 5 წლის იუბილეს. ეპისკოპოსის ადგილობრივმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, გაგვემყარებინა ურთიერთობები საქართველოში არსებულ ტრადიციულ ეკლესიებთან. ასე რომ, წლევანდელ ეკუმენურ ლოცვაზე პირველად იყო წარმოდგენილი ანგლიკანური ეკლესიაც. ვიგრძენით დაფასება კათოლიკე ეკლესიის მხრიდან, განსაკუთრებით კი მეუფე ჯუზეპე პაზოტოსგან, რომელმაც გულთბილად მიგვიწვია ლოცვაში მონაწილეობის მისაღებად.

P. S. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ერთობის ლოცვის დროს ტაძარში შეკრებილ მლოცველთა ყურთასმენას ამ ოთხივე კონფესიის სამრევლო გუნდების მიერ შესრულებული საგალობლები ატკბობდა. მგალობელთა ოთხივე გუნდის წევრთა შეუდარებელი ვოკალურ-მუსიკალური ოსტატობა ყველა მსმენელის აღფრთოვანებას იწვევს და ქრისტიანთა ერთიანობის მსახურებას განუმეორებელ ელფერს სძენს.

P. P. S. 19 იანვარს ქრისტიანთა ერთობის ლოცვა ასევე აღევლინა ახალციხის მუნიციპალიტეტის დაბა ვალეს კათოლიკურ საკრებულოშიც. ლოცვაში ერთობლივად მონაწილეობდნენ ტაძრის წინამძღვარი მამა მიხეილ სურმავა და სომხური წესის კათოლიკე მღვდელი მამა პოღოს გრიგორიანი.

საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსის ხელდასხმა თბილისის შერიგების ლუთერულ ტაძარში

ლუთერული ეკლესია საქართველოში თავისი არსებობის ორ საუკუნეს ითვლის, მართალია, საბჭოთა რეჟიმმა გასული საუკუნის 40-ან წლებში სრულიად გაანადგურა ეს ეკლესია და მისი მრევლი, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ შესაძლებელი გახდა სამხრეთ კავკასიაში ლუთერული ეკლესიის (სელე) აღდგენა. 2000 წელს თბილისში ეკურთხა ახლად აგებული შერიგების ლუთერული ტაძარი... ამჟამად ლუთერული საკრებულოები მოქმედებენ ბაქოში, ერევანში, სოხუმში, რუსთავში, ასურეთში, ბორჯომში, გარდაბანში, ბოლნისში; ეკლესია მრავალ საგანმანათლებლო, სოციალურ და საქველმოქმედო პროექტს ახორციელებს, მჭიდრო ურთიერთობა აქვს როგორც მსოფლიო ლუთერულ ალიანსებთან, ასევე სხვა კონფესიებთან.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ლუთერელთა და კათოლიკეთა ეკლესიათშორისი ურთიერთობები. ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მანძილზე, საქართველოს ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას (სელე) და ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიას მჭიდრო, ორმხრივი, ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს. ამიტომაც ამ ორი ეკლესიის ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებში მათი მღვდელმთავრები, სასულიერო დასი და მრევლის წევრები მხარში უდგანან ერთმანეთს და იზიარებენ ერთურთის სიხარულს. ახლაც, 22 იანვარს, თბილისის შერიგების ტაძარში ახლად არჩეული ეპისკოპოსის როლფ ბარაისის ხელდასხმასთან დაკავშირებულ საზეიმო მსახურებაში მონაწილეობა მიიღეს საპატიო სტუმრებმა ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიიდან. გერმანიის ვიუტენბერგის სამხარეო ეკლესიიდან, რომლის წევრი გახლავთ სელე, მოწვეულ იქნა პასტორი როლფ ბარაისი; იგი გასული წლის მაისიდან ხელმძღვანელობდა სელეს საეპისკოპოსო ვიზიტატორის რანგში. ეპისკოპოსი როლფ ბარაისი გახლავთ დიდი გამოცდილების მქონე პასტორი და გერმანიაში სახელგანთქმული მუსიკოსი, იგი ხელმძღვანელობდა მრავალათასიან ვოკალურ გუნდებს, თავადაც შესანიშნავად უკრავს სასულე ინსტრუმენტებზე. რამდენიმე თვის მანძილზე მან საქართველოში ორი გუნდი ჩამოაყალიბა. 19 ნოემბერს პასტორი როლფი ეკლესიის სინოდზე ერთხმად აირჩიეს სელეს ახალ ეპისკოპოსად, 22 იანვარს კი შერიგების ტაძარში მისი ხელდასხმისადმი მიძღვნილი საზეიმო მსახურება აღევლინა.

მსახურების ბოლოს ვიუტემბერგის ლუთერული სამხარეო ეკლესიის ეპისკოპოსმა დოქტორი გოჰლმა თავის ქადაგებაში აღნიშნა: ,,განსაკუთრებით მახარებს კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელთა სტუმრობა, კათოლიკეებთან განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებს; ერთერთ ქალაქში სტუმრობის დროს თან არ მქონდა საეპისკოპოსო ჯვარი და კათოლიკე ეპისკოპოსმა მათხოვა. მსახურების შემდგომ ჯვრის დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ეპისკოპოსმა მისახსოვრა ეს ჯვარი და კიდევ სამოგზაურო ჯვარიც. ახლა მსურს, რომ ეპისკოპოს როლფს ამ სამახსოვრო დღეს ეს ჯვარი გადავცე და ნაყოფიერი მსახურება ვუსურვო“...

მსახურების დასრულების შემდგომ ეპისკოპოს როლფ ბარაისს მიესალმენ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ერნსტ პეტერ ფიშერი, წმინდა საყდრის დესპანი, არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური, სამხრეთ კავკასიის ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი. შემდგომ კი, ახლად არჩეულ ეპისკოპოს როლფ ბარაისისა და შერიგების საკრებულოს სამრევლო საბჭოს სახელით, გაიმართა მიღება.

ჟურნალ ,,საბას“ სარედაქციო კოლეგიის სახელით, ვულოცავთ ეპისკოპოს როლფ ბარაისს ნაყოფიურ მწყემსმთავრულ მსახურებას საქართველოსა და სრულიად სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სასიკეთოდ.

შენი თბილი კერა

მეტაქსას ქუჩის ნომერი 10 არის ადგილი, სადაც ყოველდღე, საღამოს 6 საათიდან, ნახავთ არაერთ ადამიანს, რომლებსაც ღამის გასათევი არ აქვთ და მათი ერთადერთი თავშესაფარი უკვე 13 წელია, რაც ეს მისამართია: ,,კარიტასი. ბათუმი.“ თავშესაფრის კარი ყოველთვის ღიაა მათთვის. აქ მომუშავე თითოეული ადამიანი მაქსიმალურს აკეთებს, რათა ბენეფიციარებმა თავი იგრძნონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად. თავშესაფარში ყველაფერია, რაც მათ სჭირდებათ: მყუდრო, ოჯახური გარემო, თბილი კერა, ცხელი ვახშამი, მზრუნველობა, ყურადღება. ბენეფიციარებს ასევე აქვთ განტვირთვის, წიგნის კითხვის, შაშის თამაშის, ტელევიზორის ყურების საშუალება. დილით კი, საუზმის შემდგომ, ისინი ისევ ტოვებენ შენობას 6 საათამდე.

მახსენდება 2000-2002 წლები, როდესაც კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი მამა გაბრიელე ბრაგანტინი, და ლორედანა მონეტი და მრევლის წევრი ვიტალი დოლიძე კვირაობით, წირვის შემდეგ, დადიოდნენ მიტოვებულ შენობებში, ეკლესიის ეზოებში, სადაც მოინახულებდნენ ქუჩაში, სიცივეში მყოფ უსახლკარო ადამიანებს; მიჰქონდათ მათთან თბილი ტანსაცმელი, პლედები, რათა არ გაყინულიყვნენ. იმხანად კომახიძის ქუჩაზე იყო უფასო სასადილო, მის უკან კი - ფართი, სადაც შეიძლებოდა ქუჩაში დარჩენილი ადამიანებისთვის გახსნილიყო ღამის თავშესაფარი. მოხდა შეთანხმება კარიტასსა და ადგილობრივ მთავრობას შორის, ასევე სასადილოს ხელმძღვანელთან. მალე კარიტასმა მოიძია თანხები და 2003 წლის 3 თებერვალს, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს კურთხევით, გაიხსნა უსახლკაროთა ღამის თავშესაფარი.

ამ ეტაპზე თავშესაფრით ორმოცი ადამიანი სარგებლობს. სერვისის მიღება შუეძლია 18 წლის ასაკიდან ყველას, ვისაც არ აქვს საცხოვრებელი სახლი და ღამის გასათევი. ჩვენ ასევე ვეხმარებით მაცხოვრებლებს საბუთების აღდგენაში. არის შემთხვევები, როცა მოგვმართავენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც აღმოჩნდნენ ქუჩაში სხვადასხვა პრობლემის გამო; ჩვენ მათ ყოველნაირად ვეხმარებით, რათა დაბრუნდნენ სამშობლოში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ 19 წლიანი ისტორიის მანძილზე ასეულობით ბენეფიციარს დავეხმარეთ და გავულამაზეთ ცხოვრება. გვიხარია, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში ჩვენც მიგვიძღვის მცირე წვლილი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო კარიტასს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დაგვეხმარა ამ კეთილი საქმის განხორციელებაში. ასევე ვიმედოვნებ, რომ ადგილობრივი მთავრობა უფრო მეტი ძალისხმევით ჩაერთვება ჩვენთან თანამშრომლობაში ადამიანთა საკეთილდღეოდ.



დღეს კარიტასი ბათუმში ახორციელებს სამ პროექტს: უსახლკაროთა ღამის თავშესაფარი, ალკოჰოლზე დამოკიდებულ ადამიანთა რეაბილიტაციის ცენტრი, შინმოვლის სერვისი.

დიაკონი თამაზ მღებრიშვილი

საშობაო სცენის გაცოცხლება ოჯახებში

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და ჩვენი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს უამრავი განცდა, აღქმა, მატერიალური და სულიერი კულტურა, ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ხშირად ისე რომ შევისისხლხორცებთ, რომ ერთმანეთისგან ველარ ვარჩევთ; მაგრამ დრო ყველაფერს აწესრიგებს და ვეზიარებით ჭეშმარიტ ღირებულებებს: რელიგიურს, მორალურს, მეცნიერულს; ვაღიარებთ სამებას, ქრისტეს შობას, აღდგომას... თუმცა ხანდახან მაინც ლამაზი მითი გვგონია, რადგან ფესვები უღმერთო ქვეყანაში გვქონდა გადგმული და გვიძნელდება სხვაგვარად ყოფნა; მაგრამ მაინც იმდენად ნათელი, სასურველი და მტკიცეა ეს გრძნობა, განცდით და სიხარულით ველოდებით შობის ღამეს და გვჯერა იესოს დაბადების, ვუღებთ გულის კარს და ვღებულობთ მთელი სულით. რადგან სწორედ ასე, დეკემბრის ერთ ღამეს, ბაგაში, სიღარიბეში იშვა მაცხოვარი. რამხელა წარმოსახვა და რწმენაა საჭირო, განსაკუთრებით ბავშვისთვის, რომ ეს რწმენა შეისისხლხორცოს და მთელი ცხოვრება გაჰყვეს, არ გახუნდეს, სხვა გრძნობებმა არ დაჩრდილოს და არ გადაფაროს.

ალბათ წლევანდელ შობას „ინერ ჯორჯიას“ მიერ პროექტის ფარგლებში დამზადებული 92 ცალი საშობაო სცენის (პრეზეპე) ოჯახებისთვის საჩუქრად გადაცემამ ბევრ ბავშვს მიანიჭა სიხარული და მისთვის ხელშესახები გახადა თითქოსდა „ზამთრის ზღაპარი“, რომელსაც ხშირად თოვლის ბაბუასავით და საახალწლო საჩუქარივით მოელიან. მშობლის მონათხრობმა, ეკლესიაში მოსმენილმა, მისი ბავშვური ფანტაზიით დანახულმა ხორცი შეისხა, ხელშესახები გახადა და ახლა იგი მეტი რწმენით და მტკიცედ უხსნის თავის მეგობარს თუ მოსულ სტუმარს ჩვენი მხსნელის დაბადების შესახებ, რომ ყველაფერი დიადი, უბრალოა და რწმენა დაჯერებით იწყება. ბევრ მათგანს ალბათ უკვე ჰქონდა პრეზეპე, ბევრსაც კი პირველად მიეცა საშუალება, საკუთარ გულში და სახლში დაიგულოს და უსასრულო ფანტაზიით იფიქროს მასზე. უფრო ლამაზად ალბათ თავად ისინი იტყვიან საკუთარი განცდების შესახებ...

გიორგი, 12 წლის: ძალიან გამიხარდა, როცა მამა გაბრიელემ პრეზეპე გადმომცა, მინდა სულ ვუყურო.

ანასტასია, 13 წლის: ეკლესიაში ყოველ შობას ვხედავდი, მაგრამ მიკარებას ვეკრძალებოდი, ახლა მე თვითონ შევურჩევ ადგილს და ვიზრუნებ მის შევსებაზე...

დავჯი, 15 წლის: სახლში ჩვენც სამნი ვცხოვრობთ, მე დედა და მამა. ახლა წმიდა ოჯახიც ჩვენთანაა, თუმცა მანამდეც მჯეროდა მისი, მაგრამ ახლა მაინც სულ სხვაა.

შინ კიდევ ერთი საყვარელი, სალოცავი ადგილი გაჩნდა, ფაქიზი გრძნობაა და ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ. ვიმედოვნებთ, მომავალი პროექტის წყალობით, აუცილებლად გვესტუმრებიან მოგვებიც და მწყემსებიც. ბაგას მოაშურებენ ცხოველებიც, მათ შორის, ყველა „გზააბნეული ცხვარიც“ და ყოველ წელს ოჯახში სიხარულით, ერთად გავათენებთ შობის ღამეს!

ნინო ჟღენტი

იგავი მშვიდი გონების შესახებ

ერთ დღეს ფერმერმა აღმოაჩინა, რომ თივით სავსე ფარდულში საათი დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ საათი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა, მცირედ ფასობდა, ფერმერისთვის ის ძვირფასი საჩუქარი იყო.

მთელ ფარდულში თუ მის ირგვლივ დიდი ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ ფერმერმა ხელი ჩაიქნია, უკვე ძალა აღარ შესწევდა, მაგრამ როცა დაინახა ბიჭები, რომლებიც მახლობლად თამაშობდნენ, გადაწყვიტა, მათთვის დახმარება ეთხოვა და ჯილდოს დაპირდა იმას, ვინც საათს იპოვიდა.

ბიჭები მყისვე გაეშურნენ ფარდულისაკენ, მთელი ზვინი თავიდან ბოლომდე მოჩხრიკეს, მაგრამ საათი მაინც ვერ იპოვეს. სწორედ იმ დროს, როცა ფერმერი აპირებდა უარი ეთქვა საათის პოვნის ყველა მცდელობაზე, მას პატარა ბიჭუნა მიუახლოვდა და სთხოვა, მისთვის შანსი მიეცა. ფერმერმა შეხედა ბიჭუნას, რომელიც საკმაოდ გულწრფელი ჩანდა და გაიფიქრა: რატომაც არა.

ასე რომ, ფერმერმა ბიჭი ფარდულში გაგზავნა. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ცოტა ხნის შემდეგ ბიჭუნა საათით ხელში დაბრუნდა ბელლიდან. სიხარულისაგან გაოგნებულმა ფერმერმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხა მას, როგორ მოახერხა ეს, როცა სხვა ბიჭები ვერაფერს გახდნენ.

ბიჭუნამ მიუგო: ,,მე არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, ჩუმად ვიჯექი იატაკზე. სიჩუმეში გავიგონე საათის წიკწიკი, იმ მიმართულებით წავედი, საიდანაც ხმა მოდიოდა და ასე ვიპოვე თქვენი საათი“.

მორალი: მშვიდ, უშფოთველ გონებას უკეთ შეუძლია იფიქროს, ვიდრე აგზნებულსა და აღელვებულს. დაუთმეთ დღეში სიჩუმის რამდენიმე წუთი გონებას და დაინახავთ, რამდენად სწრაფად დაგეხმარებათ ის თქვენი ცხოვრების გზაზე...

დიდუბე

მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას

,,გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი“.
ეთიმ გურჯი

შორ ქვეყანაში იტარიელე,
რა გქონდა ჩვენგან გასარიყავი.
შენ დაუმტკიცე იტალიელებს,
რაც იყავი და რაც არ იყავი.

დღეს დიდ უბეში გიკრავს დიდუბე -
რაინდის სულის ლამაზ მეცნიერს.
მამულის ციდან წინწკლავს, იქ თურმე
ცრემლები სცვივა მამაზეციერს.

ჰაერსა ჰკვეთავს ზარების ჰანგი
და ერთი ზარი თითქოს სხვას უხმობს.
„რა ხდება?“ - ტაქსში კითხულობს ფრანგი.
„დედა შვილს მარხავს“, - მძღოლი პასუხობს.

ჯემალ ინჯია

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

ალბერტ თელიაშვილი
* 25. 10. 1952, ვალე
† 11. 01. 2023, ვალე

ალექსი ხითარიშვილი
* 02. 03. 1952, ახალშენი
† 15. 12. 2022, ახალშენი



მარია გურჯიანი
* 02. 08.1934, ბათუმი
† 19. 12. 2022, ბათუმი

მარო ჩიტაშვილი
* 25. 09. 1937, ვალე
† 19. 01. 2023, ვალე

ნანული დიასამიძე
* 27. 08. 1940, ვალე
† 17. 01. 2023, ვალე

ჟუჟუნა ნარიმანიშვილი
* 07. 12. 1942, უდე
† 12. 12. 2022, უდე

ცირა ცაგარეიშვილი
* 31. 05. 1960, თბილისი
† 20. 01. 2023, თბილისი



შალვა ჯანაშვილი
* 06. 01.1946, ვალე
† 22. 01. 2023, ვალე

საქართველოს კათოლიკეთა
ყოველთვიური ბიულეტენი

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

საბა

ISSN 2720-8001

მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელ სრაგანური CSS
სარედაქციო კოლეგია: ნელგარ ბარდაველიძე, ვერიკო ნიბაძე, მორენა ბარნაშვილი, მერაბ ღაღანიძე, ეკატერინე ხიხარიშვილი
ტექნიკური მხარდამჭერი: ფიდელ ბიბილეიშვილი, ალბერტ ხეგელაძე
მისამართი: ეროვნული „საბა" რედაქცია, გიორგი ალასანიის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: saba.journal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსება ბასანი ანდრიაძის მიერ 1895 წელს, © „საბა"